# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი 2011-09-12-

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი,

ვითვალისწინებთ რა, რომ ხელისმომწერი მხარეები წარმოადგენენ საქართველოს უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს,

და რომ მხარეთა საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს საქართველოში კულტურულ და სახელოვნებო პროცესებში მონაწილეობა და განვითარება, ასევე მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და დაცვა,

და რომ ხელშეკრულების მხარეებმა ნებაყოფლობით გამოთქვეს სურვილი რათა ითანამშრომლონ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სახელოვნებო სფეროებში,

ერთის მხრივ სსიპ "ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი", წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ კუდავას მიერ,

მეორეს მხრივ სსიპ "სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი", წარმოდგენილი რექტორის ჯონი აფაქიძის მიერ,

მესამე მხრივ სსიპ "თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია", წარმოდგენილი რექტორის, გია ბუღაძის მიერ,

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

## 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეთა თანამშრომლობა სამეცნიერო, სახელოვნებო და საგანმანათლებლო, ასევე მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, კვლევისა და დაცვის სფეროებში.

მხარეები ადასტურებენ რომ ურთიერთობებისას იხელმძღვანელებენ ურთიერთპატივისცემისა და კეთილსინდისიერების პრინციპებით. მხარეები ადასტურებენ, რომ აღნიშნული მემორანდუმის დადების შედეგად ერთმანეთს განიხილავენ მეგობარ ორგანიზაციებად და მზად არიან მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის.

## 2. ინტელექტუალური საკუთრება

მხარეები თანხმდებიან რომ თანამშრომლობის შედეგად შექმნილ ნებისმიერ დოკუმენტზე გამოყენებული იქნება სამივე მხარის ლოგო.

ამ მემორანდუმის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტებზე ინტელექტუალური საკუთრება ერთობლივად ეკუთვნის მემორანდუმის სამივე მხარეს. ამ დოკუმენტების გამოყენებაზე აუცილებელია სამივე მხარის თანხმობა.

## 3. მხარეთა ვალდებულებები

ხელშეკრულება ადგენს მხარეთა ძირითად შეთანხმებას ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პირობები და ვალდებულებები მხარეთა შორის უნდა გაფორმდეს დამატებითი ხელშეკრულებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ შეთანხმებით აღიარებულ პრინციპებს და ურთიერთვალდებულებებს.

ხელმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ყველა ღონეს იხმარენ მემურანდუმით აღიარებული მიზნების მისაღწევად.

წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ თავიანთი საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კონფიდენციის პრინციპებზე. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

## 4. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე მემორანდუმი მოქმედებს უვადოდ მანამ, სანამ მოშლილი არ იქნება ქვემოთ მოყვანილი პირობების შესაბამისად.

მემორანდუმის მოქმედება შეიძლება მოშლილ იქნას მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება ვადამდე მოიშალოს იმ პირობით, თუ ერთ-ერთი მხარე სხვა მხარეებს წინასწარ, ერთი თვით ადრე, წერილობით შეატყობინებს მემორანდუმის ცალმხრივად მოშლის შესახებ.

წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში. მემორანდუმის ფარგლებში დამატებითი შეთანხმება კონკრეტულ ურთიერთვალდებულებებზე უნდა გაფორმდეს დამატებით წერილობითი სახით.

ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას და მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით. მხარეები საქმიანობას წარმართავენ პარტნიორობის საფუძველზე, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობის ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

მემორანდუმი არ შეიცავს სხვა რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას. მემორანდუმი შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, და სამივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

მხარეები ადასტურებენ, რომ მემორუნდუმის მოქმედების განმავლობაში წარმოადგენენ საკონტაქტო პირს მხარეებთან ინფორმაციის გაცვლისა და კომუნიკაციისათვის.

მხარეთა ხელმოწერები

| | | |
|---|---|---|
| ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| დირექტორი<br>[illegible] | რექტორი<br>ჯონი აფაქიძე | რექტორი<br>გია ბუღაძე |